**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილება**
**ქ. თბილისი**

MES 4 22 0000118708

07/02/2022

**„სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „სპორტული მასაჟისტი“ (ქ. ქუთაისი) პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392918 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. განხორციელდეს ცვლილება „სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „სპორტული მასაჟისტი“ (ქ. ქუთაისი) პროფესიული გადამზადების პროგრამისგანხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392918 გადაწყვეტილებაში, კერძოდ

**ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „სპორტული მასაჟისტი“ (ქ. ქუთაისი) პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

**ბ) გადაწყვეტილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 7 თებერვლის №118146 ოქმის 6.8 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა